

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №86

2015 წლის 8 მაისი

ქ. რუსთავი

**„თვითმმართველი ქალაქი რუსთავის სიმბოლოების (გერბისა და დროშის) დამტკიცების
შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2009 წლის 9 იანვრის №217
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „თვითმმართველი ქალაქი რუსთავის სიმბოლოების (გერბისა და დროშის) დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2009 წლის 9 იანვრის №217 დადგენილების (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სახელმწიფო რეგისტრაციის კოდი: №01025002035160005792. თარიღი: 16.01.2009 წ.) პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1. საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს 2015 წლის 29 აპრილის №53 წერილის გათვალისწინებით დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის გერბის გამოსახულება (დანართი 1) და აღწერილობა (დანართი 2).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით მაღლაკელიძე

